ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გაწეული საქმიანობის (მუშაობის)
შესახებ ანგარიში

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი: ბელა მოსია
თანამდებობის დასახელება: საკრებულოს წევრი
ფრაქციის დასახელება: „გახარია საქართველოსთვის“.
კომისი(ებ)ის დასახელება: ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია.
განათლების, კულტურის და სპორტის საკითხთა კომისია.
არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით) : პროპორციული
საანგარიშო პერიოდი: 2025 წლის 1 ნოემბრიდან 2026 წლის 12 ოქტომბრამდე
ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე): რიგითი

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:

1. სულ საკრებულოს სხდომის რაოდენობა: 26
საკრებულოს სხდომებზე დასწრება: 10

2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა:
ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია 14
განათლების, კულტურის და სპორტის საკითხთა კომისია 19
კომისიის სხდომებზე დასწრება:
ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია 11
განათლების, კულტურის და სპორტის საკითხთა კომისია 7

დროებითი სამუშაო ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობა 0

3. სულ ფრაქციების სხდომების რაოდენობა:
ფრაქციის სხდომებზე დასწრება:

4. საკრებულოს წევრების მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

არცერთი საკითხი, რომელიც განხილული იყო ცალკეულ კომისიებსა და შემდგომ საკრებულოს სხდომებზე, და რომლებიც წარმოადგენდა მუნიციპალური სერვისების განვითარებისა თუ მოსახლეობის კეთილდღეობის მიზნით მნიშვნელოვან თემებს, ჩემი მხრიდან იქნა მხარდაუჭერილი. ხოლო ის საკითხები, რომლებიც საჭიროებდა საკითხის გარშემო დასმულ კითხვებზე პასუხებს: გამჭვირვალობის, დაზუსტების ან სხვა მიზნით, მაგრამ ვერ მოხერხდა შესაბამისი დასაბუთებული პასუხების მიღება, ჩემი მხრიდან არ ყოფილა მხარდაჭერილი.
მათ შორის გამოვყოფდი:

5. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა:

ოქმი N5

11.02.20265.

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობის ფორმით (პირობებით), 30 (ოცდაათი) წლის ვადით სარგებლობის უფლებით, შპს „ოდიში 1919“-ზე გადაცემის თაობაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

ოქმი N14

19. 06. 2026.

1. „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

2. „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

3. „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის N6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

4. „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის პირველი ივლისის N21 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“;

5. „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 6 სექტემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

6. „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 მაისის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

7. „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 6 სექტემბრის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

8. „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 6 სექტემბრის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

9. „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების, დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 6 სექტემბრის №39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

10. „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 6 სექტემბრის №37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

11. „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 6 სექტემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

12. „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 6 სექტემბრის №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

13. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.

14. შპს „ანაკლია-განმუხურის ბულვარის“ საკუთრებაში არსებული, 121 ერთეული რკინის (ხე მასალით მოწყობილი), 26 ერთეული პლასტმასის შეზლონგისა და კაიაკების გაქირავებისას ქირის წლიური საფასურის (2026 წლის ზაფხულის საკურორტო სეზონის პერიოდი) განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შპს „ანაკლია-განმუხურის ბულვარისთვის“ თანხმობის მიცემის თაობაზე;

15. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ანაკლიისა და განმუხურის ადმინისტრაციული ერთეულების სანაპირო ზოლზე, ბულვარის (პლაჟის) ტერიტორიაზე მდებარე უძრავი ქონებების და განმუხურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე უძრავი ქონებების (საპარკინგე სივრცეების) ელექტრონული აუქციონის ფორმით იჯარის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე (უზუფრუქტუარი შპს „ანაკლია-განმუხური ბულვარი“), საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ შპს „ანაკლია-განმუხური ბულვარისთვის“ თანხმობის მიცემის თაობაზე.

ოქმი N15 03.06. 2026.

„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 დეკემბრის N39 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია.

კომისიისა და საკრებულოს სხდომებზე, რომლებსაც არ ესწრებოდი, ბუნებრივია არ მიმიღია მონაწილეობა კენჭისყრაში.

6. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა -23 და შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა - ძირითადად ინდივიდუალურად ვხვდები, ჯამში დაახლოებით სულ_ 50-მდე .

7. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები:
1. ბარამიას ქუჩის სანიაღვრე არხებზე რკინის დამცავის პრობლემა

2. კოლხიდა -ნარაზენის გადასახვევთან კანალიზაციის არხის დღემდე გადაუჭრელი საკითხი
3. სოფელ ზედაეწერში სათორდიოს უბნის ტრანსპორტის პრობლემა
4. სოფელ ჯუმის მდინარის სახელწოდების, ტოპონიმის თემა
5. ჩიჩუას ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურა
6. ჯავახიშვილის ქუჩაზე ახლადაშენებული ხიდის მიმდებარე ინფრასტრუქტურის პრობლემა
7. ქალაქის საპარკინგე სივრცეების მოწესრიგება
8. ქალაქის შიდა საგზაო ინფრასტრუქტურა, რომელიც ხშ ირ შემთხვევაში ორმულ შეკეთებას უკვე არ ექვემდებარება
9. ქალაქის ტერიტორიაზე სადენებისა და ელექტროგაყვანილობების საკითხი
10. მიუსაფარი ძაღლების თავშესაფრის თემა
11. დარასელიას ქუჩის ნაწილობრივი მოასფალტებით გამოწვეული მოსახლეობის პრობლემა (მოგვარებულია)
12. სოფელ ჯუმის ანაკლიის ქუჩის მოსახლეობის საგზაო ინფრასტრუქტურის თემა
13. ალმაშენებლის ქუჩის, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინ კანალიზაციის პრობლემა
14. სოფელ რუხში მცხოვრები, მოქალაქე შორენა ქარდავას წყლის პრობლემა
15. სოფელ ჯუმის იაშვილის ქუჩის განათების დაუსრულებელი პრობლემა უშუქობასთან ერთად
16. სოფელ ჯუმის იაშვილის ქუჩის საგზაო და სანიაღვრე პრობლემის შესახებ
17. წერეთლის ქუჩის ძველი ელექტროტრანსფორმატორის საკითხი
18. სოფელ ახალკახათის ახალი ელექტროტრანსფორმატორის ირგვლივ არსებული პრობლემა
19. სოფელ ჭკადუაშის, სანაჭყებიოს უბნის, დადიანის მეორე ჩიხის ელექტროენერგიის პრობლემა
20. კომბინატის მეორე უბნის მინი სტადიონის ინფრასტრუქტურის თემა
21. სოხუმის ქუჩის (ყოფილი ტექნიკუმის შენობის ეზო) ეზოში სპორტდარბაზთან მისასვლელი გზის საკითხი
22. ბუდაპეშტის ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურა ქუჩის ბოლომდე განათების ბოძების დამატებით

8.საკრებულოს წევრის მიერ ინიცირებული საკითხები:-0

შევსების თარიღი: 20.10.2026 წელი

წარდგენის თარიღი: 22.10.2026 წელი

ხელმოწერა: ბელა მოსია